სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *სალომე კვერღელიძის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	23	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	19	20
პროფესიული თვისებები	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	7	10
პროფესიული აქტივობა	1	5
ქულათა ჯამი	88	100

თარიღი : 9.12.24წ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევანი თევზაძე

2024 წლის 9 დეკემბერი **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **სალომე კვერღელიძის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, მოსამართლეთა 38 ვაკანტურ თანამდებობაზე, მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა **სალომე კვერღელიძე.**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 2 დეკემბერს, ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე, შეევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

კანდიდატი 32 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2016 წელი), სპეციალობით მუშაობს 10 წელია, კერძოდ:

- 2014 წლის ივლისი - 2015 წლის თებერვალი, სხდომის მდივანი - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია;
- 2015 წლის თებერვალი - 2016 წლის ივნისი, მოსამართლის თანაშემწე - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია;
- 2016 წლის ივნისი - 2018 წლის აპრილი, მთავარი კონსულტანტი - მოსამართლის თანაშემწე - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია;
- 2018 წლის აპრილი - 2020 წლის მარტი, მთავარი კონსულტანტი - მოსამართლის თანაშემწე - თბილისის სააპელაციო სასამართლო;
- 2020 წლის მარტი - 2022 წლის იანვარი, მწერალი თანაშემწე - უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა;
- 2022 წლის იანვარი - 2023 წლის ივლისი, მთავარი კონსულტანტი - მოსამართლის თანაშემწე, უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა;
- 2023 წლის ივლისი - 2024 წლის ნოემბერი, მსმენელი - იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ, ხოლო გამოკითხული რესპოდენტები მიიჩნევენ, რომ ის აკმაყოფილებს/სრულად აკმაყოფილებს

კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ კარგად/ძალიან კარგად.

კანდიდატ სალომე კვერღელიძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში არაა ხელმისაწვდომი რაიმე სახის ინფორმაცია. კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელით. არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდამჭერი/ შემომწირველი.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორია. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სალომე კვერღელიძე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიან საინფორმაციო ბანკში არ ირიცხება.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში კანდიდატ სალომე კვერღელიძის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია არ არსებობს; კანდიდატი არ ყოფილა ცნობილი დაზარალებულად რომელიმე საქმეში; მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება არ განხორციელებულა.

კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია ან ნაშრომი.

სალომე კვერღელიძე არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVIII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 79/25.
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 1.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით - *„სამოქალაქო სამართალში* - სალომე კვერღელიძე ნებისმიერი დავალების შესრულების პროცესში ავლენს მრავალმხრივ თეორიულ ცოდნას. მსჯელობს მაღალი სამართლებრივი კულტურით, დამაჯერებლად და ტაქტიანად. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. სალომე არის გაწონასწორებული და გონებაგახსნილი ადამიანი, მასალას ძალიან ადვილად ითვისებს და აანალიზებს. სტაჟირების პერიოდში თავი გამოიჩინა, როგორც კომუნიკაბელურმა და თავაზიანმა ადამიანმა. არის ძალიან ტაქტიანი და არასოდეს გაცდენია ეთიკის ნორმებს. არის ორგანიზებული, სწრაფად და ეფექტურად ანაწილებს დროს. *ადმინისტრაციულ სამართალში* - სალომე

კვერღელიძეს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის ძალიან კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად, თანმიმდევრულად და გასაგებად არის ჩამოყალიბებული. არის კეთილსინდისიერი მაღალი კომპეტენციით გამორჩეული, თავაზიანი, შრომისმოყვარე, გულისხმიერი და კომუნიკაბელური ადამიანი. *სისხლის სამართალში* - სალომე კვერღელიძეს, აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი. არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. მსმენელს, რომელიც ადმინისტრაციული სამართლის სპეციალისტია, სისხლის სამართალში აქვს ნორმალური თეორიული ცოდნა და შესაბამისადაც ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი. რეკომენდებულია მან იზრუნოს სემინარული მუშაობისას დაშვებული მცირე შეცდომების გამოსწორებაზე, სისხლის სამართალში წერილობიითი უნარების უფრო მეტად განვითარებაზე".

სალომე კვერღელიძეს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ტრენინგსა თუ სასწავლო კურსში (მაგ: „სამედიცინო სამართლის პრობლემატური საკითხები"; „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის სიახლეები და კორუფციის პრევენციის მექანიზმები, იყო მართლმსაჯულების ზაფხულის სკოლის 2018 წლის მონაწილე და ერთ-ერთი გამარჯვებული და ა.შ.).

სალომე კვერღელიძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლის და ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდები.

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

კანდიდატი ფლობს გერმანულ, ინგლისურ და რუსულ ენებს.

3. *კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია*:

კანდიდატს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს სამართლებრივი ხასიათის შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული.

4. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ოთხივე მახასიათებლის (სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატისათვის): ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა და დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - მოთხოვნებს, თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია.

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ:

კანდიდატს, როგორც მოქალაქეს აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის მაღალი შეგნება, კეთილსინდისიერება, პატიოსნება, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას).

<u>შესაბამისად, მიგიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის" მახასიათებელს.</u>

კანდიდატი არის დამოუკიდებელი და სამართლიანი, გამოირჩევა პრინციპულობით, გააჩნია პიროვნული სიმტკიცე და ზეგავლენის მიმართ მედეგობა.

<u>შესაბამისად მიგიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის" მახასიათებელს.</u>

კანდიდატი გამოირჩევა თავდაჭერილობით, საკუთარი ემოციების მართვის უნარით, სანიმუშო პიროვნული და პროფესიული ქცევით, არის თავაზიანი, პასუხისმგებლობით აღსავსე, პატივს სცემს სხვა ადამიანების აზრსა და უფლებებს, გულმოდგინედ ასრულებს თავის მოვალეობებს. ამდენად, ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/სამართლებრივი რეალობის ადეკვატური.

<u>შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული ქცევის" მახასიათებელს.</u>

კანდიდატის აქვს მაღალი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი სამსახურსა და საზოგადოებაში, ამ დასკვნის გამაქარწყლებელი, ასევე - მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

<u>შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის" მახასიათებელს.</u>

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მივიჩნიე, რომ კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებელს აკმაყოფილებს, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე მივედი იმ დასკვნამდე, რომ **<u>კანდიდატი სალომე კვერღელიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.</u>**

5. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-3 პუნქტი) და იუსტიციის უმაღლესი სკოლის შეფასების ანალიზიდან გამომდინარე, გაირკვა:

კანდიდატს გააჩნია სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ასევე, ადამიანის უფლებათა სამართლის სათანადო ცოდნა. შესაბამისად, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა"

ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლის ნორმების ცოდნის“ მახასიათებლის მიხედვით, შევაფასე **23 ქულით (მაქსიმალური -25);**

კანდიდატს გააჩნია ანალიტიკური აზროვნების უნარი, საქმის სწრაფად, თუმცა ამავდროულად დეტალურად გაცნობის, სამართლებრივი პრობლემების სხარტად წამოჭრისა და არგუმენტირებულად გადაწყვეტის უნარები.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **23 ქულით (მაქსიმალური - 25 ქულა);**

კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია ან ნაშრომი. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით - სალომე კვერღელიძის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების/საპროცესო დოკუმენტების პროექტები ყოველთვის მაღალ დონეზე, ყურადღებითაა შედგენილი. ყურადღება გამახვილებულია მნიშვნელოვან გარემოებებზე, დოკუმენტი არ საჭიროებდა ტექნიკურ კორექტირებას. იგი გამოირჩევა აკადემიური წერის უნარით. შეუძლია იურიდიული ტერმინოლოგიით დატვირთული ტექსტი და სამართლებრივი მსჯელობა გასაგები ენით გადმოსცეს და მნიშვნელოვან გარემოებათა დასაბუთება განსკუთრებით აქცენტირებულად წარმოაჩინოს. მის მიერ მომზადებულმა გადაწყვეტილებების/საპროცესო დოკუმენტების პროექტებმა დიდი მოწონება დაიმსახურა. უმრავლეს შემთხვევაში არ საჭიროებდა რაიმე კორექტირებას. სალომე კვერღელიძეს, შესწევს უნარი საქმის გარემოებები და მასში არსებული პრობლემები სტრუქტურირებულად ჩამოაყალიბოს ზეპირად და განავითაროს საინტერესო სამართლებრივი მსჯელობა. რომელიც ყოველთვის ზუსტი, მიზანმიმართული და ამომწურავია. ზეპირსიტყვიერად მსჯელობისას არ არის დაძაბული, საკუთარ აზრს გადმოსცემს თავისუფლად და არგუმენტირებულად.

აღნიშნული გარემოებების (ხარვეზის) გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **19ქულით, (მაქსიმალური - 20 ქულა);**

კანდიდატი გამოირჩევა პუნქტუალურობით, შრომისმოყვარეობით, დამოუკიდებელი აზროვნებისა და სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარით, არის მიზანდასახული პიროვნება, რომელიც გულმოდგინედ, სრული

პასუხისმგებლობით, სწრაფად, ხარისხიანად და პროდუქტიულად ასრულებს თავის მოვალეობებს.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული ოვისებების" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **15 ქულით (მაქსიმალური 15 ქულა);**

კანდიდატს ახასიათებს სიახლეების მიმართ ღიაობა, მუდმივად ცდილობს თვითგანვითარებას, მონაწილეობა აქვს მიღებული პროფესიული წვრთნის არაერთ პროგრამაში და შეუძლია მიღებული ცოდნის და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება. არ ეწევა სამეცნიერო საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **7 ქულით (მაქსიმალური 10 ქულა).**

კანდიდატი არ მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში. არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ი" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული აქტივობის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **1 ქულით (მაქსიმალური 5 ქულა).**

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, კანდიდატს ვანიჭებ 88 ქულას.

ლევანი თევზაძე